ჟურნალ „ბრამსის“ საპროგრამო წერილი

ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტის, პროფ. ვასილ კაჭარავას მიერ 2018 წლის 19 მაისს პლენარულ სხდომაზე წამოყენებულ იდეას – საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც გაეხსნათ ამერიკისმცოდნეობის ცენტრები თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის აღზრდილებს, ბუნებრივად გამოვეხმაურე საკუთარი ინიციატივით. ასე გაჩნდა 2018 წლის 14 ივლისს ბრამსის ინსტიტუტი ამერიკისმცოდნეობის ასოციაციის თანადგომით.

საქართველოში პირველი ონლაინ ინსტიტუტის მიზანია ბრიტანეთის, ამერიკისა და საქართველოს ინტერდისციპლინური შესწავლა. ახალი ცენტრის სამეცნიერო კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბე მისი სახელწოდებაც – ბრამსის ინსტიტუტი, რაც სამი ქვეყნის სახელწოდების აბრევიატურაა: **ბრ**-(იტანეთი), **ამ**-(ერიკა) და **ს-**(აქართველო). ბედნიერი დამთხვევაა, რომ ინსტიტუტის დანიშნულებიდან გამომდინარე ჩამოწერილი ათიოდე აბრევიატურიდან ერთ-ერთი უნებურად დაემთხვა გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორისა და პიანისტის – იოჰანეს ბრამსის (1833-1897) გვარს. ცხადია, ბევრი აღარ მიფიქრია სახელწოდების არჩევანზე, რომელიც მყისიერად მოიწონა ბრიტანელმა პროფესორმა ჯერემი რამსდენმა – ბრამსის ინსტიტუტის ერთ-ერთმა პირველმა მხარდამჭერმა და თანამდგომმა.

ახალი ინსტიტუტის ლოგოზე ნახევარი წელი ვიმუშავე და საბოლოოდ, მისი სამეცნიერო კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე დავხატე: ლურჯ და თეთრ ფერებში შესრულებულ ფარზე ინსტიტუტის სახელწოდებაა ინგლისურ ენაზე – BRAMS Institute; მის ქვემოთ მარცხნივ განვალაგე სამი ანგლოსაქსური რუნი „ბ“, „ა“, „ს“, ხოლო მარჯვენა მხარეს – სამი ასომთავრული ასო „ბ“, „ა“, „ს“ (ბრიტანეთის, ამერიკისა და საქართველოს საწყისი პირველი ასოების შესაბამისად, რადგან ამ სამი ქვეყნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლო-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

გოა); ფარის შუაში მოვათავსე ბორჯღალი, როგორც მარადიულობისა და თავისუფლების ძველქართული მზის სიმბოლო, ბრამსის ინსტიტუტის ქართული სახელმწიფოებრივი მიზნებისადმი ერთგულების ნიშნად; იქვეა კვლევითი ინსტიტუტის ფუნქციონირების დაწყების თარიღი „2018“; ფარის ძირას განთავსებული ალმასი, რაც სიმტკიცისა და მარადიული ფასეულობის სიმბოლოა, სრულიად შემთხვევით, ლოგოს ერთ-ერთი ვარიანტის ონავრულად გაფერადებისას გამოისახა და ასეც დავტოვე, ცოტა შელამაზებული სახით.

ლოგოს ფერებიც მრავალი ვარიანტის მოსინჯვის შემდეგ შევარჩიე: არც წითელი, არც მწვანე და არც ოქროსფერი მოუხდა ფარისთვის შერჩეულ დეტალებს. საინტერესოა, რომ ლოგოს ფერთა სიმბოლური მნიშვნელობები ბრამსის ინსტიტუტის მიზნებსა და მისწრაფებებს ესადაგება – ლურჯ ფერს უკავშირებენ ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა სანდოობა, ძლევამოსილება, მნიშვნელოვნება, ავტორიტეტი, ინტელექტი, სტაბილურობა, ერთობა და კონსერვატიულობა, ხოლო თეთრი, რომელიც სრულყოფილების ფერადაა მიჩნეული, სიმბოლურად გამოხატავს სინათლეს, სიკეთეს, უსაფრთხოებას, სიწმინდესა და სისუფთავეს. თეთრი ასევე ითვლება წარმატებული დასაწყისის გამოხატულებად. ამ ყველაფერს კი ნამდვილად ვისურვებდი ბრამსის ინსტიტუტისათვის.

ბევრს, ყველას თუ არა, გაუჩნდება კითხვა: რატომ გავაერთიანე ბრიტანეთისა და ამერიკის შესწავლა ქართველოლოგიის საფარქვეშ?

მთელ მსოფლიოშია გაფანტული ამერიკისმცოდნეობის ცენტრები და მათი რიცხვი გამუდმებით იზრდება მაშინ, როდესაც ბრიტანეთის შემსწავლელი ცენტრების თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობაა და ისინი არსებობის ხანგრძლივობითაც საგრძნობლად ჩამოუვარდებიან ამერიკის შემსწავლელ ცენტრებს. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ინგლისური ენისა და ბრიტანული ლიტერატურის შესწავლით დავიწყე, რასაც ხელს უწყობდა ჩემი გეოგრაფიის მასწავლებლის, გია ჭანტურიას თაოსნობით

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

55-ე სკოლაში შექმნილი კლუბის „ალბიონი“ საქმიანობა, სკოლის წლებშივე აქტიურად ჩავერთე ამერიკისმცოდნეობაში, რაც დამოუკიდებლობადაბრუნებული საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური ნებით იყო განპირობებული. აუცილებელია აღინიშნოს იმავე პერიოდში ბრიტანეთის საბჭოსა და ბაირონის სკოლის ღვაწლი, თუმცა, ისინი, ძირითადად, ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებას ემსახურებოდნენ და ნაკლებად მოიცავდნენ ინგლისის შესწავლას ქვეყანათმცოდნეობის კუთხით, რასაც განსაკუთრებულად აქცევდა ყურადღებას ბატონი გია ჭანტურია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას, ბუნებრივია, აქტიურად ჩავერთე პროფ. ვასილ კაჭარავას თაოსნობით შექმნილი ამერიკისმცოდნეობის ცენტრის საქმიანობაში, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოს თბილისისთვის უჩვეულოდ გამთბარი და განათებული სივრცის – IREX-ის ბიბლიოთეკის წყალობით აღმოვაჩინე. ეს ცენტრი იმ დროისთვის ახალ და საინტერესო შესაძლებლობებს უანგაროდ სთავაზობდა ყველა მსურველს. ის იძლეოდა უდიდესი გამოცდილებისა და უნიკალური ცოდნის შეძენის საშუალებას ჩვენივე უნივერსიტეტის კედლებში. ვხედავდი, როგორ აქტიურობდა აშშ-ის ელჩი რიჩარდ მონრო მაილსი და მთელი დიპლომატიური კორპუსი, როგორ ედგნენ მხარში ამერიკის შესწავლის გაღრმავებისა და გაფართოების საქმეს საქართველოში. შესაბამისად, თსუ-ის სტუდენტებსა და პროფესორებს თვალიცა და გონებაც იოლად გაურბოდათ პომპეზურად ჩატარებული ღონისძიებებისკენ, რომელთაც ამერიკისმცოდნეობის ცენტრი რეგულარულად აწყობდა.

ჩვენდა საამაყოდ და საბედნიეროდ, ნულიდან არაფრის კეთება დაგვიწყია. ბრამსის ინსტიტუტის საქმიანობას მხარში უდგას პროფესურა, ვინც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღიზარდა და უდიდესი პრივილეგია ჰქონდა, პირველი დღიდანვე ეთანამშრომლა თსუ ამერიკისმცოდნეობის ცენ-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ტრთან, გაეზიარებინა მისი მიღწევები და წარმატებები, როცა გელა ჩარკვიანის ოცნებას ხორცი შეასხა მისმა ღირსეულმა აღზრდილმა, პროფ. ვასილ კაჭარავამ. ბრამსის ინსტიტუტის წევრებსა თუ მეგობრებს კარგა ხანია, რაც ამერიკის შესწავლის მიმართულებით სოლიდური შედეგები აქვთ. მათი გულისხმიერი, წმინდა მეცნიერული ინტერესიდან გამომდინარე თანადგომა, ახალი ინტერდისციპლინური ონლაინ კვლევითი კერისთვის უდიდესი ფორაა. ასევე უმნიშვნელოვანესია ინსტიტუტის ძველი და მჭიდრო სამეცნიერო-კვლევითი ურთიერთობები ინგლისელ თუ ამერიკელ მკვლევრებთან.

შეუძლებელია ამერიკის შესწავლა ისე, გზად არ გადაკვეთო ბრიტანეთთან დაკავშირებული საკვანძო საკითხებიც. თავად დამფუძნებელი მამებიც მუდმივად ეცნობოდნენ, ითვალისწინებდნენ და აპელირებდნენ არა მხოლოდ ბრიტანული თუ, ზოგადად, ევროპული, არამედ მსოფლიო გამოცდილებითა და დანატოვარით. ბუნებრივია, რომ ამერიკის უძლიერესი და უმდიდრესი ისტორია თავის ხანგრძლივობას არანაკლები მნიშვნელობის მქონე, მრავალსაუკუნოვანი ბრიტანული ფესვების გათვალისწინებით ზომავდეს. თანამედროვე ქართველი ამერიკანისტების ნაწილი ამერიკის შესწავლის ფარგლებშივე მოიცავს ბევრ სხვა ქვეყანას (გაერთიანებულ სამეფოს, თანამეგობრობის ქვეყნებსა და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებს), რომელიც უშუალო კავშირში იყო და არის ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რის გამოც გადაწყდა, რომ ახალი ინსტიტუტი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ შტატების მეცნიერული კვლევით. მით უმეტეს, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ნაკლებეფექტურია ცალკეული ქვეყნის პრობლემატიკის კვლევა დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლირებულად.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და პირადად ვარ მომსწრე, წარსულში როგორი ბრიტანული, სარკაზმნარევი სიყვარულით საუბრობდნენ ინგლისელები ამერიკელებზე და ისიც ბევრჯერ მინახავს, როგორ შენატროდ-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ნენ ამერიკელები ყველაფერს ბრიტანულს. მეგობრულ-ირონიული დამოკიდებულება, ფაქტობრივად, მსოფლიო საზოგადოების თვალწინ შეიცვალა ამ ორ ერს შორის ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. გაცილებით თბილი და ურთიერთგაგების პოზიცია ჩამოუყალიბდათ. ეს, ძირითადად, იმან განაპირობა, რომ გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ს საერთო მტრები და პრობლემები გამოეკვეთა. მათ სიტუაცია გააანალიზეს და ცალ-ცალკე ბრძოლას ამჯობინეს, გაერთიანება და ერთმანეთის მხარდაჭერა. ამის მრავალი ნიმუში ვრცელდება მედიასაშუალებებით, რისი უკანასკნელი მაგალითია დავოსის შეხვედრაზე ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ უპირობო და საჯარო თანადგომის მერამდენედ გაჟღერება ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონისა და მისი ბრექსითის გეგმისადმი. სწორედ ბრიტანულ-ამერიკული პოლიტიკური ტანდემის შედეგი უნდა იყოს, ამერიკისმცოდნეობისადმი სოლიდურად გაზრდილი ბრიტანული ინტერესი იმის პარალელურად, რომ აშშ-ში მომრავლება დაიწყო ბრიტანეთის შესწავლის ცენტრებმა. საქართველო არასოდეს ჩამორჩენია მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო მიმართულებებს და, ცხადია, არც ამჯერად აპირებს.

დამოუკიდებლობის დღეს ისეთი გრანდიოზული მნიშვნელობა ენიჭება ამერიკაში, რომ 4 ივლისი ცნობილი თარიღია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. წარსულში ინგლისს არასოდეს ჰქონია დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საჭიროება. 2018 წლის 23 ივნისს ლონდონში, სადგურ „ვიქტორიადან“ დიდი მსვლელობა დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა, ინგლისის ისტორიაში პირველად, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას. რა თქმა უნდა, როგორც საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში, ისე ინგლისშიც, ყველას თავისებურად ესმის პოლიტიკური მოვლენებიცა და კონკრეტული თარიღების მნიშვნელობაც. მაგალითად, თავის დროზე მწვავე კამათი და მსჯელობა მიმდინარეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ 9 აპრილი აერჩიათ თუ 26 მაისი აღედგინათ. საბო-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ლოოდ, კომპრომისული ვარიანტი შეირჩა და საქართველო ყოველწლიურად აღნიშნავს ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს – ეროვნული ერთიანობის დღესა და დამოუკიდებლობის დღეს. ამიტომ, ქართული გამოცდილებით, გასაკვირი არაა ლონდონში ჩატარებული სამი განსხვავებული ღონისძიება ერთსადაიმავე თარიღთან დაკავშირებით. ზოგი ბრექსითს ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლად მიიჩნევს, ზოგიც – ქვეყნის დაქცევად. უმნიშვნელოვანესი ის მგონია, რომ ინგლისელების მთავარი ლოზუნგი გახდა ამერიკის 45-ე პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო მოწოდების პერიფრაზი: „კვლავ გავხადოთ ბრიტანეთი დიადი“. სწორედ ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ თანამედროვე ინგლისში არსებობენ ადამიანები, ვინც ხედავს ამერიკელი ერის მიღწევებს და სურს მსგავსი პროგრესი საკუთარ სამშობლოშიც იხილოს. ამ ორი ქვეყნის ახლებური დამოკიდებულება გახდა შემდეგი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ახალი ინსტიტუტის კვლევითი ინტერესი სწორედ ბრიტანეთი და ამერიკაა ერთდროულად.

ვფიქრობ, ქართველები კარგა ხანია უკვე ვდგავართ იქვე, სადაც ეს ორი დიდი ერია დღეს. წლებია, ვცდილობთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და მიღწეულის გამყარებას იმის სურვილით, რაც მურმან ლებანიძის ლექსშია გაცხადებული: „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. ულამაზეს სიმღერად აქცია ზურაბ მჟავიამ ქართული სულის ეს გამოძახილი, გოგი დოლიძემ რომ შეგვისრულა და ჩაგვიბეჭდა გულსა და გონებაში. ეს ხომ სწორედ ის სურვილია, რაც მსოფლიოს „დიდი ორიანის“ (ინგლისელი სატირიკოსის, რიკი ჯერვეიზის ტერმინი რომ გამოვიყენოთ) – ინგლისისა და ამერიკის მოქალაქეებს აქვთ: ჩვენ ყველას გვინდა ჩვენ-ჩვენი ქვეყნები ისევ ისეთი დიადები ვიხილოთ, როგორც ოდესღაც, თითოეული მათგანის „ოქროს ხანაში“. ცხადია, სხვებსაც ბევრი შეუძლიათ ისწავლონ და გაითვალისწინონ ქართველი ერის უდიდესი ისტორიული გამოცდილებიდან. თუმცა, ჩვენთვის ისიც არანაკლებ მნიშვნე-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ლოვანია, მათი გამოცდილება შევისწავლოთ და გამოვიყენოთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო ინტერესებში ასევე შედის საქართველოსთან დაკავშირებული ბრიტანულ-ამერიკული თემატიკისა და ბრიტანეთ-ამერიკაში ქართული კვალის კვლევაც. ერთია, რას აკეთებდა, მაგალითად, პრეზიდენტი რონალდ რეიგანი აშშ-ში, ხოლო პრემიერ-მინისტრი მარგარეტ თეტჩერი დიდ ბრიტანეთში, მეორეა – საქართველოში რა პოლიტიკურ-კულტურულ პერიპეტიებს ჰქონდა ადგილი იმავე პერიოდში და რა მსგავსება თუ კავშირი არსებობდა ამ სამი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს შორის.

აღნიშნულ და კიდევ სხვა მრავალ მიზეზთა გამო, გადაწყდა ბრამსის ინსტიტუტის შექმნა ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევის ცენტრად, სადაც ბრიტანული, ამერიკული და ქართული გამოცდილების ერთობლივი კვლევები განხორციელდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ერთ-ერთი უდიდესი მიმართულება იქნება საქართველოს თანამედროვეობისა და ისტორიული ღირებულებების მსოფლიოსთვის გაცნობა ინგლისურ ენაზე. დღეს განსაკუთრებული ინტერესი ღვივდება ჩვენი სამშობლოსადმი და სწორედ ისეთი ხელსაყრელი მომენტია, რომლის ხელიდან გაშვება სახელმწიფო ღალატის ტოლფასი იქნებოდა. როგორი გულდასაწყვეტიც უნდა იყოს, ჯერაც ნაკლებად იცნობენ საქართველოს მთელი მისი ღირებულებებით. ეს პოლიტიკური ნაკლი სწორედ სამეცნიერო ინსტიტუტების ხელშეწყობით უნდა აღმოიფხვრას. ოც წელზე მეტია, პროფ. ვასილ კაჭარავა ლობირებს იმ გონივრულ მოსაზრებას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ ქართველი მეცნიერების პოტენციალი უნდა გამოიყენოს ქვეყნის საკეთილდღეოდ. ვფიქრობ, ბრამსის ინსტიტუტიც უფროსი კოლეგისა და მენტორის მიერ დასახულ გზას უნდა გაჰყვეს.

ბრამსის ინსტიტუტის საქმიანობამ და სამეცნიერო კვლევებმა, ჩვენი მხრიდან ყოველგვარი ინიციატივის გარეშე, პირველი ნაბიჯებიდანვე მიიპყრო ევროპა-ამერიკის

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

წამყვანი მეცნიერებისა თუ დარგის სპეციალისტების ყურადღება. საერთაშორისო ინტერესმა და გამოხმაურებამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კვლევების შეთავაზების სურვილი გაგვიჩინა. ახალგაზრდა ინსტიტუტის სოლიდური ინტელექტუალური წონა და მონაცემები უდევს საფუძვლად უფრო დიდ ასპარეზზე გასვლის სითამამეს.

ლამის, ცხოვრებასავით ხანგრძლივია ჩემთვის ამ სფეროში საქმიანობა. ძალიან გამიჭირდება იმის გარჩევა, რა არის ჩემეული და რა – კვლევის შედეგად შეძენილ-მოპოვებული. ბრიტანეთის, ამერიკისა და საქართველოს შესწავლა იმდენად საინტერესო და სასიამოვნოა, რომ უფრო სახალისო საქმიანობად აღვიქვამ, ვიდრე პროფესიად ან მეცნიერებად. თუმცა, კარგად მაქვს გააზრებული გაზრდილი პასუხისმგებლობაცა და ვალდებულებაც მას მერე, რაც მეცნიერი-მკვლევარი ანალიტიკოსის სტატუსს ახლადდაარსებული ინსტიტუტის დირექტორობაც დაემატა; თანაც არა მხოლოდ ამერიკანისტიკის, არამედ ანგლისტიკისა და საქართველოს კვლევების ინტერდისციპლინური ამბიციებით.

ამ სფეროსთან ჩემი დამოკიდებულება ერთდროულად პროფესიულიცაა და პირადულიც. ამერიკელებისგან ვისწავლე, რომ სათაკილო კი არა, საპატიო და საამაყოა წინამორბედის მხრებზე დგომა, ვიღაცის ჭკვიანურად გაკვალულზე სიარულით ახალი მწვერვალებისკენ სწრაფვა. თავის დროზე ამერიკელებმა არა მხოლოდ ბრიტანეთის კულტურა და პოლიტიკურ-სოციალური გამოცდილება გაითვალისწინეს, არამედ მთელი ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბსაც გადასწვდნენ. ამიტომაც, დღემდე პატივსაცემია დამფუძნებელი მამების ღვაწლი. მხოლოდ მათი კურსიდან გადახვევა თუ დაღუპავს ამერიკას, რაც, იმედია, არასოდეს მოხდება.

ბრიტანეთის იმპერიის ნამცვრევზე დგას დღემდე თანამედროვე ევროპა, რაგინდ უსიამოვნო იყოს ამის ხმამაღლა აღიარება საფრანგეთის, ესპანეთისა თუ გერმანიისთვის. გაერთიანებული სამეფოს გასვლაც იმიტომ აშფოთებს ევროკავშირს, რომ ძალიან სჭირდება ინგლისი

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

მთელი მისი ავ-კარგით. ამას მშვენივრად ხვდება, მაგრამ უკუღმა ლაპარაკობს. არ არსებობს მსოფლიო პოლიტიკაში პრეცედენტი, იმას ებღაუჭებოდნენ წამყვანი სახელმწიფოები, რაც არ არგიათ. ძალზე საეჭვოა, რომ ინგლისის კეთილდღეობისთვის გამოიდეს თავი მოულოდნელად. თუმცა, შორეულ პერსპექტივაში, ბრექსითი არა მხოლოდ ბრიტანეთს, არამედ დანარჩენ ევროპასაც გაუკვალავს გზას გაცილებით უკეთესი მომავლისკენ, თუ ყველაფერი სათანადოდ განხორციელდება.

ისედაც პატარა საქართველო, სულ უფრო და უფრო რომ მცირდება და ქართული გულივით იკუმშება, პირველი ევროპელების აკვანია. დასავლეთ აზიას მიგვაკუთვნებენ თუ აღმოსავლეთ ევროპას, ჩვენი სამშობლოს ლოგიკური ადგილი მუდამ იყო და იქნება ევროპის წიაღში. პოლიტიკური ბედის ირონიით, ეს ქვეყანა სწორედ იმ დასავლური სამყაროს სამშობლოა, რომლის ნაწილად აღიარებასა და გახდომასაც ცდილობს ლამის სამი ათეული წელიწადია. ამიტომაც, აქტუალური და მნიშვნელოვანია ინგლისის, ამერიკისა და მათ რაკურსში საქართველოს წარსულის, აწმყოსა თუ მომავლის პერსპექტივათა მეცნიერული კვლევა და გასაჯაროება პრაქტიკული მიზნების გონივრულად დაგეგმვისათვის. ბრამსის ინსტიტუტი გაასმაგებული ენთუზიაზმით გააგრძელებს წლების წინ აქტიურად დაწყებულ საქმიანობას. მსოფლიოში, თითქოს, ჯანსაღი ცვლილებების პერიოდი დგება და ჩვენი სამშობლო ამჯერად მაინც უნდა მოხვდეს სათანადო პოზიციაზე. სწორედ ამ დიად მიზანს ემსახურება ინტერდისციპლინური ონლაინ ინსტიტუტის დაარსება და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ასახვა აკადემიური ჟურნ. „ბრამსის“ ფურცლებზე.

მაია ნადარეიშვილი
ბრამსის ინსტიტუტის
დამფუძნებელი და დირექტორი,
ჟურნალ „ბრამსის“ მთავარი რედაქტორი

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)